# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№12 (43), 2014


## თსუ-ში მონოგრაფიული პალეონტოლოგიური მუზეუმი გაიხსნა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მონოგრაფიული პალეონტოლოგიური მუზეუმი გაიხსნა. საქართველოში პალეონტოლოგიური მუზეუმი თბილისის უნივერსიტეტში 1926 წელს ალექსანდრე ჯანელიძემ დააარსა. ალექსანდრე ჯანელიძემ ამ დარგში უმაღლესი განათლება საფრანგეთის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში, ქალაქ გრენობლში მიიღო, რომელსაც მდიდარი პალეონტოლოგიური მუზეუმი გააჩნდა. აქ წარმოდგენილი იყო მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში მოპოვებული პალეონტოლოგიური მასალა და შესაბამისი ლიტერატურა. ამიტომ, გრენობლის უნივერსიტეტი სტუდენტი-პალეონტოლოგებისათვის სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა. ალექსანდრე ჯანელიძემ გრენობლის უნივერსიტეტში არსებული სამუზეუმო კარადების, ვიტრინებისა და სტელაჟების ზუსტი ნახაზები გადმოიღო, რის მიხედვითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამისი სამუზეუმო ავეჯი დაამზადებინა. პირველი კოლექცია ალექსანდრე ჯანელიძის მიერ აღმოჩენილი ამონიტების განსაკუთრებული ნაირსახეობა ე.წ. კოლხიდიტები გახლდათ. მონოგრაფიული პალეონტოლოგიური მუზეუმი უნივერსიტეტის პირველი კორპუსში იყო განთავსებული. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის დაარსების შემდეგ, მუზეუმი გეოლოგიის ინსტიტუტში გადაიტანეს. მოგვიანებით გეოლოგიის ინსტიტუტი თსუ-ს შემოუერთდა. აღნიშნული მუზეუმის გამდიდრებული კოლექცია კი კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა. მონოგრაფიული პალეონტოლოგიური მუზეუმის კოლექციების სადემონსტრაციო ნაწილი 30 000 ერთეულია.

## არქეოლოგთა ერთობლივი ექსპედიცია

### თსუ არქეოლოგები ფუძნარის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამაროვნების გადარჩენით სამუშაოებს აწარმოებენ



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს არქეოლოგიური ასოციაციის ერთობლივი ექსპედიცია აწარმოებს გადარჩენით სამუშაოებს თიანეთის რაიონში ფუძნარის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც თიანეთი-ჟინვალის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

არქეოლოგიური გათხრები 2014 წლის 15 ნოემბერს დაიწყო და მისი პირველი ეტაპი ერთ თვეს გაგრძელდა. ამ ეტაპზე დაგეგმილი იყო მშენებლობის პროცესში დაზიანებული და, რიგ შემთხვევაში, უკვე განადგურებული სამარხების ინვენტარის გადარჩენა, ასევე გზის მშენებლობისთვის ნიველირებულ ზოლში შემორჩენილი სამარხების გათხრა.

სწორედ სამშენებლო სამუშაოების დროს დაზიანებული სამარხები გახდა მიზეზი იმისა, რომ საგზაო დეპარტამენტს სპეციალური სახსრები გამოეყო არქეოლოგიური სამუშაოების დასაფინანსებლად (ექსპედიციის პარტნიორია სს „თბილისი").

როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელი, თსუ არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი აცხადებს: „ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა,

გაგრძელება მე-3 გვ.

## საქართველოს მთები – თსუ სტუდენტების ფოტოობიექტივში

8 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ ალპური კლუბის ფოტოგამოფენა გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ალპინიადის მონაწილე სტუდენტი მთამსვლელების და ინსტრუქტორების მიერ გადაღებული სურათები. ერთი კვირის განმავლობაში ექსპოზიცია ყოველდღე იცვლებოდა. სულ 150-მდე ფოტო გამოიფინა, რომელზეც სტუდენტების მიერ დალაშქრული მწვერვალები, ექსპედიციებია ასახული.

გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბი 1989 წელს დაფუძნდა. იგი შეიქმნა თსუ ალპსექციის ბაზაზე, რომელიც ამ ტიპის პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყო, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ პოსტ-საბჭოურ სივრცეში.

ალპსექციის დაარსებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1923 წლიდან ჩაეყარა საფუძველი. მყინვარწვერზე განხორციელებულ პირველ ასვლებში ძირითადად თსუ–ის თანამშრომლები და სტუდენტები მონაწილეობდნენ.

უნივერსიტეტის ალპინისტური სექციის ბაზაზე 1959 წელს მოეწყო პირველი ქართული ექსპედიცია ტიან–შანზე, რომელსაც ალექსი ივანიშვილის ხელმძღვანელობდა. ექპედიციის შემადგენლობაში იყვნენ ჯუმბერ მეძმარიაშვილი, ლევან და ზურაბ ახვლედიანები, გიორგი



გაგრძელება მე-4 გვ.

## ნაძვის ხე, რომელსაც მოჭრა არ სჭირდება

თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტისა და თსუ ეკო-კლუბის ორგანიზებით წელს კონკურსი – „შექმენი საახალწლო ნაძვის ხე" იმართება. მასში მონაწილეობის მიღება საქართველოს ყველა სკოლის ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია. კონკურსის მიზანია საახალწლოდ ტყეების განადგურებისა და ახალგაზრდა ნაძვის ხეების უმოწყალო ჭრის შეჩერება. საამისოდ კონკურსის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს სკოლის მოსწავლეები წაეხალისებინათ და ხელოვნური ნაძვის ხეების საკუთარი ხელით შექმნა შეეთავაზებინათ. კონკურისის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ეკოკლუბის წევრის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის, ეკოლოგიის მიმართულების სტუდენტის ნანა მეფარიშვილის თქმით, ამ კონკურსის იდეა ჯერ კიდევ გასულ წელს გაჩნდა, რაც კლუბის წევრებმა ბორჯომში, ერთ-ერთ სკოლაში შეხვედრისას გააჟღერეს.

პროექტი სამ ეტაპს მოცავდა. პირველი ეტაპის განმავლობაში, რომელიც 1 დეკემბერს დაიწყო და 15 დეკემბერს დასრულდა, მოსწავლეებს ნაძვის ხეები სხვადასხვა სახის ნარჩენებისაგან უნდა დაემზადებინათ. საამისოდ მათ საშუალება ჰქონდათ გამოეყენებინათ ყველაფერი – ნაძვის ხის და მისი ტოტების გარდა. მასალა შესაძლოა ყოფილიყო: მაკულატურა, პოლიეთილენი, ლითონი, ბიჟუტერია, ქსოვილი და სხვა.

შექმნილი ნაძვის ხეების ამსახველი ფოტოსურათები მოსწავლეებს სპეციალურ ელექტრონულ მისამართზე ან ეკოკლუბის ფეისბუკის გვერდზე უნდა გაეგზავნათ. მეორე ეტაპში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ჯამში 60 სკოლის მოსწავლეები გადავიდნენ. მათ შორის: აბაშის, აფხაზეთის, ბათუმის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თერჯოლის, ლანჩხუთის, მარტვილის, მესტიის, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, ტყიბულის, ჩოხატაურის, ფოთის, ქუთაისის, ქობულეთის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის სკოლებიდან.

მეორე ეტაპზე დასავლეთ საქართველოდან შერჩეული ნაშრომები 18 დეკემბერს ქუთაისში,

გაგრძელება მე-4 გვ.

## „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ" თსუ-ს სტუდენტებისთვის სტიპენდია დააწესა



გვ. 2

## შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრი თსუ-ში



გვ. 2

## „პრაქტიკული ანთროპოლოგია" – პირველი სახელმძღვანელო პოსტსაბჭოთა სივრცეში

26 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკურ ანთროპოლოგიაში ქართულ ენაზე შექმნილი პირველი სახელმძღვანელოს - „პრაქტიკული ანთროპოლოგია" პრეზენტაცია გაიმართა.

გვ. 3

## შალვა ნუცუბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოცემების პრეზენტაცია თსუ-ში




გვ. 2

## მემორიალი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ უნივერსიტეტელებს

8 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ თსუ I კორპუსის ეზოში სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი გახსნეს.

გვ. 3

# „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ“ თსუ-ს სტუდენტებისთვის სტიპენდია დააწესა



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა ვასილ ხორავამ მოაწერეს ხელი.

თსუ რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „უნივერსიტეტისთვის ბიზნესთან თანამშრომლობას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მსოფლიოში არსებობს ბიზნესისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობის ტრადიცია. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს კომპანია იყოს ისეთი წარმატებული, როგორიც „ვისოლია“. სასიამოვნოა, რომ საფუძველი ჩაეყარა საქმეს, რომელიც მომავალში უფრო გაფართოვდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომპანია თავად შეარჩევს სტუდენტებს, გასცემს მათზე სტიპენდიას ან დაასაქმებს. ეს სტუდენტები არა მარტო სწავლაში წარმატებულები, არამედ კრეატიულებიც იქნებიან და ახალ იდეებს შესთავაზებენ დამსაქმებელს.“

„კომპანია „ვისოლის“ წარმატება დაფუძნებულია საქმის კარგ ცოდნასა და განათლებაზე. ჩვენი კომპანიის წარმატების ისტორია სწორედ ასე შეიქმნა. ჩვენ დიდ  მნიშვნელობას ვანიჭებთ მოზარდების, სტუდენტების მხარდაჭერას. ჩვენი მიზანია სტუდენტებს გავუჩინოთ ჯანსაღი მოტივაცია - წარმატების მიღწევა შესაძლებელია განათლებისა და მუშაობის პირობებში. დღეს შრომის ბაზარზე ორი პრობლემაა – უმუშევრობა და პროფესიონალი, კვალიფიციური კადრების დეფიციტი. ვისაც სწავლის და მუშაობის სურვილი გააჩნია, მას ჩვენს კომპანიაში გზა ხსნილი აქვს. ჩვენ კი სტუდენტებს გავუზიარებთ წლების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას,“- აღნიშნა „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა ვასილ ხორავამ.

თსუ-სა და „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ შორის  გაფორმებული მემორანდუმის მიზანია „უნივერსიტეტის“ სტუდენტების დახმარება პროფესიული უნარების განვითარებაში, მათი დასაქმების ხელშეწყობა და „კომპანიისთვის“ მომავალი საკადრო რეზერვის შექმნა. ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების, დამსაქმებელთან სტუდენტების დაახლოების, შრომის ბაზრისთვის მათი უკეთ მომზადების მიზნით, მხარეები პერიოდულად მოაწყობენ ერთობლივ ღონისძიებებს, შეხვედრებს, სემინარებს. სასწავლო მიმართულებების ხელშეწყობისა და წარმატებული სტუდენტების წახალისების მიზნით, „კომპანია“ თავად განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებას და მის მიერვე ორგანიზებული კონკურსის საფუძველზე შეარჩევს საკუთარ სტიპენდიანტს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ სახელობის სტიპენდია წელს გადაეცა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის ორ სტუდენტს: ცოტნე ჩიქოვანს და გიორგი გურწიშვილს. მათ შერჩევის მომენტისთვის აკადემიური მოსწრების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ. თითოეული მათგანი მიიღებს 1000 ლარს. საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარე „ვისოლის“ დასაქმების ფორუმზე კომპანიის პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ პირადად დააჯილდოვა გამარჯვებული სტუდენტები.

# ჟურნალი „მათემატიკა“ №2



25 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის – „მათემატიკა“ პრეზენტაცია გაიმართა. ჟურნალი თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ გამოიცემა და მისი მიზანია მათემატიკასთან დაკავშირებული სიახლეების, თსუ-ში მიმდინარე კვლევებისა და ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება. ჟურნალი საინტერესო იქნება მეცნიერების, მათემატიკის მასწავლებლებლების და, ზოგადად, მათემატიკით დაინტერესებულ პირებისთვის.

# შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრი თსუ-ში



12 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრი გაიხსნა. ცენტრი უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურული ერთეულია, რომლის დაარსების იდეა კარგა ხნის წინ გაჩნდა. ცენტრის დირექტორის, ფსიქოლოგის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, საჯარო პოლიტიკის დოქტორის თამარ მახარაძის თქმით: ცენტრის მუშაობა მთლიანად საგრანტო პროექტიებით შემოსული თანხით დაფინანსდება. პირველი პროექტი „შშმ პირთა დასაქმება საქართველოში – პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის გამოცდილების პერსპექტივიდან“ ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ დაფინანსდა. იგი 2014 წლის 1 დეკემბერს დაიწყო და 2016 წლის ნოემბრამდე გასტანს. კონკრეტულად ამ პროექტის ფარგლებში საქართველოში შშმ პირთა დასაქმების თვალსაზრისით სამაგიდე, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა უნდა განხორციელდეს. უნდა ჩატარდეს სემინარი და ესსეების კონკურსი სტუდენტებისთვის.

„მთელ მსოფლიოში დღეს აქტუალურია საკითხი, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეზღუდული უნარის მქონე პირთა ჩართულობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი შრომითი საქმიანობის გააქტიურებას ეხება. ბუნებრივია, რომ ეს ის პრობლემაა, რომელიც თსუ-სთვისაც მნიშვნელოვანია, რის გამოც შეიქმნა შესაბამისი კვლევითი ცენტრი, რომელმაც მიიღო სერიოზული გრანტი და ის იწყებს ფუნქციონირებას“, – განაცხადა ცენტრის პრეზენტაციაზე თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ის ხალხია, ვინც ჩვენ გვერდით ცხოვრობს. ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ დავეხმაროთ მათ საზოგადოებაში ინტეგრაციაში; იმაში, რომ მათ მხოლოდ ჩვენს გვერდით კი არა, ჩვენთან ერთად იცხოვრონ“, – აღნიშნა ასევე ცენტრის პრეზენტაციაზე ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ტომაშ პერნიცკიმ.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით, საზოგადოების 10-12% -ს სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობა აქვს. მე-20 საუკუნის ბოლო პერიოდიდან, განსაკუთრებით კი 21-ე საუკუნის დასაწყისიდან, შეზუდული შესაძლებლობა მხოლოდ სამედიცინო პრობლემად აღარ მიიჩნევა და სოციალურ და უფლებრივ განზომილებაში გადაინაცვლა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკავშირის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მისიების მიერ შექმნილი დოკუმენტები, საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი ავალდებულებს (წევრ ქვეყნებს), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს ცხოვრების თანაბარი და ღირსეული პირობები შეუქმნან.

ცნობისათვის, სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში 127 491 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია დაფიქსირებული. 2009 წელს საქართველომ ხელი მოაწერა გაეროს 2006 წლის კონვენციას შშმ პირთა უფლებების შესახებ. 2013 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ეს დოკუმენტი საქართველოს შშმ პირებისთვის თანაბარუფლებიანი გარემოს შექმნას ავალდებულებს. ეს ეხება მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას სოციალური ფუნქციონირების ყველა სფეროში: ხელმისაწვდომი და საჭიროებებზე მორგებული განათლება, დასაქმება, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეობაში ხელშეწყობა. აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, 2014 წლის იანვარში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომელიც სხვადასხვა სფეროში შშმ პირთა სოციალური ინტეგრაციის ხელშესაწყობად საჭირო თანმიმდევრულ ნაბიჯებს გულისხმობს.

თსუ-ში შექმნილი ცენტრის მიზანიც სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის ქვეყანაში თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნის ხელშეწყობაა. თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ცენტრი ამას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გარდა, სხვადასხვა სახის აქტივობით გეგმავს. ესენია: სატრენინგო პროგრამების შემუშავება და ჩატარება, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანად განხორციელება და სწავლების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ხელშეწყობა, სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან კოორდინაცია და აშ.

ცენტრის მუშაობაში ჩართულნი იქნებიან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტები, რომლებსაც აქ გაწეული საქმიანობა აუცილებელ სასწავლო პრაქტიკად ჩაეთვლებათ. კვლევით პროექტებში მონაწილეობას შესაბამისი მიმართულებებების (სოციოლოგია, ფსიქოლოგია, სოციალური მუშაობა) სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები მიიღებენ. ცენტრში მიღებული გამოცდილება ამ სტუდენტების სამაგისტრო და სადოქტორო შრომებშიც აისახება.

# შალვა ნუცუბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოცემების პრეზენტაცია თსუ-ში

თსუ-ში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, გამოჩენილი ფილოსოფოსის, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნის „Georgian Christian and Its Cultural Context“ და საერთაშორისო ჟურნალის „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველის“ №3 პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, სტუდენტები და პროფესორები დაესწრნენ.



თსუ რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, „ცნობილ ქართველ ფილოსოფოსს, საზოგადო მოღვაწეს, ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს შალვა ნუცუბიძეს შეუსრულდებოდა 126 წელი დაბადებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა ჟურნალი, რომელიც მთლიანად მიეძღვნა შალვა ნუცუბიძეს, მის მეცნიერულ მოღვაწეობას. ამავე დროს, ჰოლანდიაში გამოიცა წიგნი, რომელიც არის კოლექტიური მონოგრაფია, ავტორები არიან არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი ცნობილი ფილოსოფოსები. ეს წიგნი გამოსცა ცნობილმა გამომცემლობა ბრილმა და ამ გამოცემამ ინგლისურენოვან საზოგადოებას  ერთხელ კიდევ უნდა შეახსენოს ქართველი ფილოსოფოსის შალვა ნუცუბიძის სამეცნიერო მოღვაწეობა.  ეს გამოცემები არის ძალზე მნიშვნელოვანი და დიდი იმედი მაქვს უნივერსიტეტი ღირსეულად მოემზადება 130 წლის იუბილის აღსანიშნავად“.

„დღეს მნიშვნელოვანი დღეა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – აღინიშნება დიდი ქართველი ფილოსოფოსის, უნივერსიტეტის დამფუძნებლის შალვა ნუცუბიძის იუბილე. ამ დღეს მიეძღვნა ორი დიდი პროექტი: მეჩვიდმეტე საუკუნეში დაარსებულმა გამომცემლობამ ბრილმა გამოსცა უზარმაზარი მონოგრაფია. არც ერთ სხვა ქართველ მოაზროვნეს არ რგებია ასეთი პატივი – ამხელა მონოგრაფიის მიძღვნა. მათ შეძლეს წარმოეჩინათ შალვა ნუცუბიძის მრავალმხრივი ღვაწლი, რომელიც შეეხება აღმოსავლური რენესანსის თეორიას, არეოპაგიტული კორპუსის კვლევას, რუსთველოლოგიას,  „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ თარგმანს  რუსულ ენაზე და სხვადასხვა მრავალმხრივ მოღვაწეობას. ამავე დროს,  თსუ ფილოსოფიის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი გამოსცემს ჟურნალს „ფილოსოფიურ-თოლოგიური მიმომხილველი“, რომელიც მთლიანად მივუძღვენით  შალვა ნუცუბიძეს“, – აღნიშნა  თსუ ფილოსოფიის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელმა დემურ ჯალაღონიამ.

# არქეოლოგთა ერთობლივი ექსპედიცია

## თსუ არქეოლოგები ფუძნარის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამაროვნების გადარჩენით სამუშაოებს აწარმოებენ

პირველი გვერდიდან





რომ შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუახანებსა და, აგრეთვე, ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისს. სამარხები წარმოადგენს მიწაში ამოკვეთილ ორმოებს, რომლებშიც მიცვალებულები არიან დაკრძალული (ე.წ. ორმო სამარხები). აქ აღმოჩენილია ბრინჯაოსა და რკინის ნივთები, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამდენიმე ე.წ. სკვითური ისრის პირი, რომელიც ამ ტიპის ისრის პირებს შორის საკმაოდ იშვიათია. მათი ანალოგიური ისრის პირები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე (მცხეთა) და, რაც უაღრესად საინტერესოა, ისინი გვხვდება მდ. დონის ქვემო დინების არეალში. ასეთი ისრის პირების შემცველი ერთი სამარხეული კომპლექსი ინახება ოქსფორდში, აშმოლენ მუზეუმის კოლექციაში. ყურადღებას იქცევს ასევე ვერცხლის რგოლები, ვერცხლისგან დამზადებული ვერძის სქემატური გამოსახულება და შესანიშნავად გრავირებული ორნამენტით შემკული სამაჯური".

ამ დროსითვის უკვე გათხრილია ოთხი სამარხი, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. გზის იმ მონაკვეთში, სადაც სამშენებლო სამუშაოები უნდა გაგრძელდეს, გამოვლენილია კიდევ რამდენიმე სამარხი, რომელიც შემდეგი კონტრაქტის საფუძველზე უნდა შეისწავლონ. კონტრაქტთან დაკავშირებით მოლაპარაკება დეკემბრის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

ის სამარხები, რომლებიც ჯერ არ არის გათხრილი, მთლიანად შემონახულია და მშენებლობისგან არ დაზიანებულა. შესაბამისად, თსუ არქეოლოგთა ექსპედიცია ელის, რომ იქ თიხისა და ბრინჯაოს მნიშვნელოვანი ნაწარმი აღმოჩნდება. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეგიონი მნიშვნელოვანი გახლავთ ძვ.წ. II-I ათასწლეულების არქეოლოგიური ძეგლების კვლევის თვალსაზრისით, რადგან ამ მთიან ზოლში ცნობილი ბრინჯაოს ნივთები ყოველთვის გამოირჩევა ძალიან მაღალი მხატვრული დონით.

გარდა ამისა, არქეოლოგიის ინსტიტუტს დაგეგმილი აქვს გადარჩენითი სამუშაოების წამოწყება დუშეთის რაიონში, სადაც თსუ სტუდენტების მიერ მიკვლეულია შესანიშნავი და თითქმის დაუზიანებელი სამაროვანი. ამ სამაროვანში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს რამოდენიმე ნივთი. პირველ რიგში ეს არის გრავირებული სატევარი, რომელიც ძვ.წ. მეშვიდე საუკუნეს განეკუთვნება და რომელზეც მაღალ მხატვრულ დონეზე ამოკვეთილი ირმის შესანიშნავი გამოსახულებები და გეომეტრიული ორნამენტია დატანილი. არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა უკვე მოინახულეს ეს ადგილი და მიაკვლიეს სამარხს, რომელიც წყლის ნაკადმა ნაწილობრივ ჩამორეცხა და სამარხში არსებული ინვენტარი გამოაჩინა – სანიაღვრე თხრილის კიდეზე ჩანს ერთმანეთის გვერდით ჩალაგებული თიხის ჭურჭელი. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ზამთრის პირობებშიც კი მოხდეს გადასარჩენი სამუშაოების დაწყება ამ სამაროვანზე.

# „პრაქტიკული ანთროპოლოგია“ – პირველი სახელმძღვანელო პოსტსაბჭოთა სივრცეში

26 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკურ ანთროპოლოგიაში ქართულ ენაზე შექმნილი პირველი სახელმძღვანელოს - „პრაქტიკული ანთროპოლოგია“ პრეზენტაცია გაიმართა.

თსუ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას განცხადებით, უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმძღვანელოების გამოცემა, რითიც სტუდენტები უმაღლეს განათლებას მიიღებენ. მისი თქმით: "ანთროპოლოგიაში გამოცემული ეს ახალი სახელმძღვანელო, პირველი ქართულ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოა და საკმაოდ საინტერესოა". თსუ რექტორი თვლის, რომ ამ ეტაპზე იგი სტუდენტებს ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს.

„პრაქტიკული ანთროპოლოგია“ ამ მიმართულების პირველი სახელმძღვანელოა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. მასში, საუნივერსიტეტო სწავლების მეთოდების გათვალისწინებით, წარმოდგენილია თანამედროვე ფიზიკურ (ბიოლოგიურ) ანთროპოლოგიაში საყოველთაოდ აღიარებული კვლევების შედეგები. სახელმძღვანელო ითვალისწინებს უცხოელ ავტორთა, ასევე ქართული ანთროპოლოგიური სკოლის უახლეს კვლევათა მონაცემებს. სახელმძღვანელო გამოიცა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე. გამოცემა ავტორთა კოლექტივის მიერ არის შექმნილი (ლ. ბითაძე, ო. ცეცხლაძე, შ. ლალიაშვილი, მ. ჭკადუა, ე. კაკაბაძე) და არა მხოლოდ სახელმძღვანელოა სტუდენტებისათვის, არამედ არის კვლევათა შედეგების ახლებური გააზრება და საეტაპო ნაშრომი კავკასიის ხალხთა ფიზიკური ანთროპოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით.

„ჩვენი სურვილია ქართულ ენაზე არსებობდეს სახელმძღვანელოები, მონოგრაფიული წიგნები, რათა დამკვიდრდეს და გავაცნობიეროთ ის, რაც ჩვენ დღეს ამ დარგში მოვიპოვეთ და ეს შემდგომ თაობებს გადავცეთ. წიგნი იმ ფაქტობრივ მასალას ეყრდნობა, რომელიც ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაშია დაცული. გარდა ამისა, მასში ჩართულია მეთოდური ნაშრომები, რომელიც უკვე შეჯერებულია მსოფლიო მეცნიერებს შორის. ეს არის თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში მიღებული შედეგების გააზრება ქართულ ენაზე. სახელმძღვანელო განკუთვნილია კავკასიოლოგებისთვის და ზოგადად ანთროპოლოგიით დაინტერესებული მაგისტრებისთვის, დოქტორანტებისა თუ მკვლევრებისათვის. ვფიქრობ, რომ ეს გახდება სამაგიდო წიგნი არქეოლოგებისთვისაც“, – აღნიშნავს სახელმძღვანელოს ავტორი, თსუ ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ლიანა ბითაძე.

# მემორიალი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ უნივერსიტეტელებს

8 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ თსუ I კორპუსის ეზოში სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი გახსნეს. ღონისძიებას თსუ სტუდენტები და პროფესორები დაესწრნენ.

მემორიალის გახსნის შემდეგ სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე თსუ სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრაზე დავით ბაქრაძემ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის, ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმის პრიორიტეტებისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ ისაუბრა.

სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალის ავტორია იაკობ ნიკოლაძე. ნამუშევარი, რომელიც დიდმა ქართველმა ხელოვანმა 1908 წელს შექმნა, ბრინჯაოში მოქანდაკე გურამ ნიკოლაძემ ჩამოასხა .

უნივერსიტეტის სტუდენტობა ყოველთვის წინა ხაზზე იდგა ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრიობის სადარაჯოზე და ხშირად, სამწუხაროდ, მათი თავგანწირვა მსხვერპლითაც მთავრდებოდა.

მემორიალი ეძღვნება ყველა უნივერსიტეტელის ხსოვნას, ვინც 1918 წლიდან მოყოლებული აქტიურად იბრძოდა საქართველოს თავისუფლებისათვის.

მემორიალის აღმართვის იდეა უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკუთვნით, რომლის განხორციელებას აქტიურად დაუჭირა მხარი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ.



### გურამ კარტოზიას 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები

16 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გამოჩენილი ქართველოლოგის, პროფესორ გურამ კარტოზიას 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

ღონისძიების ფარგლებში თსუ მუზეუმმა მოაწყო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო პროფესორ გურამ კარტოზიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები, ჯილდოები, პირადი ნივთები, წერილები, მისი ავტორობით გამოცემული წიგნები ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში – ქართველური ენების ფონეტიკა-ფონოლოგიაში, გრამატიკასა და ლექსიკოლოგიაში, რუსთველოლოგიასა და ტექსტოლოგიაში, ზეპირსიტყვიერებაში, ლექსიკოგრაფიაში; ასევე, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმების ხელნაწერები (2011-2012 წლებში გამოიცა ორ წიგნად, რედაქტორი აკად. თამაზ გამყრელიძე), გასული საუკუნის 40-50-იან წლებში და შემდგომ კახეთში, სვანეთში, სამეგრელოსა და ლაზეთში, მათ შორის თურქეთის ლაზეთში, პროფესორ გურამ კარტოზიას მიერ გაკეთებული საექსპედიციო ჩანაწერები, რომელთაგან ნაწილი გამოუქვეყნებელია. საიუბილეო საღამოზე გაიმართა ჟურნალ „ქართველოლოგიის“ (რედაქტორი აკად. მაგალი თოდუა) სპეციალური ნომრის პრეზენტაცია.

### საჯარო ლექცია „OLI პარადიგმა და ერის საინვესტიციო განვითარების გზის ეტაპები საქართველოსთვის“

16 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ დოქტორანტის ვახტანგ ჭარაიას საჯარო ლექცია „OLI პარადიგმა და ერის საინვესტიციო განვითარების გზის ეტაპები საქართველოსთვის“ გაიმართა. ღონისძიება თსუ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას მუდმივმოქმედი სემინარის „პოლიტეკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან“ ფარგლებში ჩატარდა.

### „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ახალი ნომრების პრეზენტაცია

12 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XV-XVI ნომრების გაერთიანებული ტომის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ისტორიული მეცნიერების ისტორიის შემსწავლელი წრე“.

„ქართული წყაროთმცოდნეობის“ ახალი გამოცემა შედგება რამდენიმე განყოფილებისაგან: 1. წყაროთა კრიტიკა და ისტორიული რეპრეზენტაცია. მასში წარმოდგენილია ოცდაშვიდი კვლევითი ხასიათის ნაშრომი. სტატიებს შორისაა წყაროთმცოდნეობითი, ისტორიული, ისტორიოგრაფიული პროფილის გამოკვლევები და წყაროთა პუბლიკაცია; 2. თვალსაზრისი. აქ წარმოდგენილია წერილი სამეცნიერო ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა რეფერირებადი ჟურნალი; 3. წიგნების მიმოხილვა; 4. ქრონიკა. ეს სტატიები მოიცავს სამეცნიერო ღონისძიებების გარკვეული ნაწილის მიმოხილვას; 5. ხსოვნა. ესაა ჟურნალის ემოციურად ყველაზე დამუხტული ნაწილი, თუმცა იგი ამავე დროს ძალიან ინფორმაციულიცაა და ქართული ისტორიული მეცნიერების ისტორიას წარმოადგენს თავისებური რაკურსით.

### სტუდენტთა სასწავლო მივლინება ესტონეთში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუთი სტუდენტი (თინათინ ვახანია; სალომე სულაბერიძე; თენგიზ სულთანიშვილი; ელენე ფანჩულიძე; ნინო ძამუკაშვილი) სასწავლო მივლინებით ესტონეთში გაემგზავრებიან. მათი შერჩევა ორსაფეხურიანი კონკურსის საფუძველზე მოხდა. ქართულ-ესტონური (თსუ და ტარტუს უნივერსიტეტები) თანამშრომლობის საფუძველზე ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2013 წლის გაზაფხულზე გამოყო გრანტი, რომელიც 50 ათას ევროს შეადგენდა და გამიზნული იყო შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად: ტარტუს უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის თსუ-ში ვიზიტი და თანამშრომლობის გაღრმავება; თსუ-ს ბაზაზე საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მოწყობა; თსუ ადმინისტრაციის და რექტორის მივლინება ესტონეთში; 5 ქართველი სტუდენტის ესტონეთში ერთი სემესტრით სასწავლებლად გაგზავნა. დაფინასება მოიპოვა და პროექტი განახორციელა თსუ რექტორის მრჩეველმა ვახტანგ ჭარაიამ.

### ოთარ ჯინორიას 100 წლისთავი

11 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ცნობილი ქართველი გერმანისტის ოთარ ჯინორიას 100 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიება.

ღონისძიება დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის გერმანული ფილოლოგიის კათედრის ორგანიზებით ჩატარდა და მას თსუ სტუდენტები, პროფესორები და უცხოელი სტუმრები დაესწრნენ.

### კონფერენცია „საზოგადოება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“

10 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია – „საზოგადოება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“.

კონფერენციას პრაქტიკოსი იურისტები, თსუ პროფესორები, სტუდენტები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიება საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციისა და სოციალური მუშაობის მიმართულების, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის სამსახურის სახელმწიფო ფონდის მხარდაჭერით გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს იურისტებმა, ფსიქოლოგებმა, სოციალურმა მუშაკებმა, სტუდენტებმა, სახელმწიფო უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

# თსუ მეცნიერის კვლევის შედეგები

ოთხი მკვლევრისაგან შემდგარმა გუნდმა (მაია მესტვირიშვილი, თინათინ ზურაბიშვილი, თამარ იაკობიძე, ნათია მესტვირიშვილი) ნორვეგიის საზოგადოებრივი ინტიტუტის მხარდაჭერით მოიპოვა კვლევითი გრანტი და გაანალიზა კავკასიის კვლევითი რესურსების მიერ ჩატარებული გამოკითხვა 2013 წლის 17 მაისის მოვლენების შესახებ. კითხვარი რომელიც 17 მაისი მოვლენებს ეხებოდა სხვადასხვა განზომილებას მოიცავდა: მათ შორის, რესპონდენტის სოციო-ეკონომიკურ მახასიათებლებს, სოციალურ, პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებებს, ჰომოსექსუალობის მიზეზების ატრიბუციას, აღქმულ შიშს და პირად კონტაქტების სიხშირეს. თსუ ასოცირებული პროფესორი მაია მესტვირიშვილი ასე აღწერს კვლევის შედეგებს:

ჰომოფობიის პოტენციური განმსაზღვრელი ფაქტორებად ცვლადების ოთხი ჯგუფი იქნა აღებული: 1. სოციო-დემოგრაფიული: ასაკი, სქესი და განათლება 2. ლიბერალიზმი და ეკლესიურობა (ეკლესიაში სიარული სიხშირე) 3. რელიგიური და სექსუალური თანასწორობის მხარდაჭერა 4. ფსიქო-სოციალური ფაქტროები: ჰომოსექსუალობის მიზეზების ატრიბუცია და კონტროლი, შიშს აღქმა და პერსონალური კონტაქტი.

შედეგებმა გამოავლინა, რომ ჰომოსექსუალები, რიგით მეორე არასასურველი სამეზობლო ჯგუფია კრიმინალების შემდეგ. იგი თითქოს ისეთივე უნდობლობას და შიშის იწვევს როგორც კრიმინალები და წამალდამოკიდებული ინდივიდები.

ჰომოფობიის განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიკაციისათვის, გამოყენებული იქნა საფეხურებრივი ლოგისტიკური რეგრესია: ცვლადების ოთხივე ჯგუფმა სტატისტიკურად სანდო კავშირი აჩვენა ჰომოფობიის მაჩვენებელთან. კერძოდ, სოციო-დემოგრაფიული ცვალდების ჯგუფიდან სქესი და განათლება კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორები აღმოჩნდა. კაცები გაცილებით ხშირად ავლენენ ჰომოფობიურ შეხედულებებს, ვიდრე ქალები: კაცების შემთხევაში ჰომოფობიის ალბათობა 55%, ხოლო ქალები შემთხვევაში 40%. ამასთან, განათლების დაბალი დონე აგრეთვე მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია ჰომოფობიურ შეხედულებების. რაც დაბალია განათლების დონე, მით მეტია ალბათობა ჰომოფობიური შეხედულებების.

ცვლადების მეორე ჯგუფიდან რომელიც ეკლესიაში სიარულის სიხშირე და ლიბერალურ შეხედულებებს მოიცავდა, მხოლოდ ლიბერალული შეხედულებები გახდა ჰომოფობიის სანდო პრედიქტორი, ანუ ჰომოფობია განსაზღვრულია ლიბერალური შეხედულებებითაც: რაც ნაკლებია ლიბერალიზმი, მით მეტია მოლოდინი, რომ ჰომოფობიური შეხედულებები განვითარდება.

კვლევამ არ გამოავლინა შესაძლო კავშირი რელიგიურ ფაქტორს და ჰომოფობიას შორის. ეს შედეგი მკვლევართათვის მოულოდნელი იყო, რადგან 2013 და 2014 წლების 17 მაისი მოვლენებმა (ჰომოფობიის და ტრანსფობიის წინაარმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე) ნათლად აჩვენა, რომ ჰომოფობიური შეხედულებები ადვილად იღებს სიმბოლური და ფიზიკური აგრესიის სახეს.

მკვლევარები ასევე ამბობენ, რომ მნიშვნელოვანია, რომ ემოციას აქვს უნარი აღძრას ქცევა უფრო წარმატებით, ვიდრე აზრს, ან იდეას. ხოლო ემოციებიდან შიში ზოგადად ყველაზე კარგი საშუალებაა, რომ ადამიანები მოტივირებულნი გახდნენ ქმედებისათვის. ჰომოფობიის კვლევის შემთხვევაში ეს ტენდენცია ნათლად დასტურდება: ფსიქო-სოციალური ფაქტორებიდან მხოლოდ აღქმულ შიშს აქვს პოტენცია გააძლიეროს ჰომოფობიური შეხედულებები. თუ ინდივიდს სჯერა, რომ ჰომოსექსუალი საფრთხის შემცველია, და ის ემუქრება ქვეყანას და ქვეყნის ნაციონალურ ღირებულებებს, მაშინ იზრდება ზიზღი, აგრესია და დისკრიმინაცია მათ მიმართ.

საბოლოოდ მკვლევარები ასკვნიან, რომ ჰომოფობია მწვავე სოციალური პრობლემაა საქართველოში, რაც მისი ღრმად შესწავლის აუცილებლობაზე მეტყველებს. კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ მამაკაცები, განათლების დაბალი დონის მქონე ინდივიდები, არალიბერალები, ინდივიდები, რომლებიც უარყოფენ სოციალურ ეგელიტარიანიზმს და ემხრობიან საზოგადოების იერარქიას და სტრატიფიკაციას, და აგრეთვე ინდივიდები რომლების შიშის, უნდობლობის და ეჭვის მაღალი დონით გამოირჩევიან, არიან ჰომოფობები და მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ძალას წარმოადგენენ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარების გზაზე.

# საქართველოს მთები – თსუ სტუდენტების ფოტოობიექტივში

*პირველი გვერდიდან*

აბაშიძე, დიმიტრი დანგაძე, შოთა მირიანაშვილი, სულიკო ხაბეიშვილი, რევაზ რევაზ ხაზარაძე და სხვა. მათ აირჩიეს ისეთი მარშრუტი, რომელიც მანამდე გავლილ ყველა მარშრუტს სჯობდა. ქართველ ალპინისტთა ჯგუფმა მიაკვლია მწვერვალს, რომელსაც სახელად „ვაჟა-ფშაველა“ უწოდეს. ასეთი ექსპედიციების ამსახველი უნიკალური ფოტომასალა გააჩნია შოთა მირიანაშვილს, სადაც არაერთი ქართველი მეცნიერის ალპინისტური წარმატებაა აღბეჭდილი.



1989 წლიდან თსუ–ის ალპინისტური სექცია – „თსუ გ. ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბი“ არის ქართველ მთამსვლელთა კადრების მომზადების უმთავრესი კერა საქართველოში. ქართველ ალპინისტთა 75 % თსუ-ის აღზრდილია. აქ, გამოჩენილ მთამსვლელთა მთელი პლეადა აღიზარდა: სიმონ ჯაფარიძე, ოთარ გიგინეიშვილი, სარგის ცაიშვილი, რევაზ ხაზარაძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, შოთა მირიანაშვილი, ომარ ბერაძე, ვანო გულედანი, გია თორთლაძე და სხვა. მათი უმრავლესობა, გარდა წარმატებული მთამსვლელობისა, აქტიურ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა და დღესაც ეწევა. ქართველ ალპინისტებს უდიდესი მიღწევები ჰქონდათ. ტრადიციული სტუდენტური ალპინიადა უნივერსიტეტში 1936 წლიდან იმართება.

პირველ ალპინიადას ხელმძღვანელობდა ცნობილი ალპინისტი და მეცნიერი, პროფესორი დავით წერეთელი. მასობრივმა ასვლებმა კავკასიონის მწვერვალზე განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო თსუ-ში ნიკო კეცხოველის რექტორობის დროს. დროის სხვადასხვა პერიოდში ალპინისტურ სექციას ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და მთამსვლელები გიორგი ნიკოლაძე, ნიკო კეცხოველი, ოთარ გიგინეიშვილი, ლევან მარუაშვილი, დავით წერეთელი, სარგის ცაიშვილი, თორნიკე ტატიშვილი და სხვა. 2001 წლიდან დღემდე თსუ-ში ალპინიადას შოთა მირიანაშვილი ხელმძღვანელობს. ბატონი შოთა პროფესიით ფიზიკოსია, წარმატებული მთამსვლელობის პარალელურად ეწევა აქტიურ მეცნიერულ მუშაობას. თავისი მოღვაწეობის მანძილზე მას 15000 ათასი სტუდენტი ჰყავს სხვადასხვა მწვერვალზე აყვანილი და, მისი თქმით, ეს ჯერ კიდევ დასასრული არ არის. თსუში ტრადიციული სტუდენტური ალპინეადა წელიწადში ორჯერ იმართება – ზაფხულში და შემოდგომაზე.

ალპინიადაში მონაწილეობის მსურველი ძალიან ბევრია. განსაკუთრებულ ყურადღებას პირველკურსელები იჩენენ. ჯგუფები მინიმუმ 300 კაციანია. სტუდენტები დიდი მონდომებით „იპყრობენ“ მწვერვალებს და გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების, მწერლებისა და პოეტების სახელებს არქმევენ. მასობრივი ალპინიადები, რომლებშიც უამრავი სტუდენტი მონაწილეობს, საქართველოს თითქმის ყველა მაღალმთიან რეგიონში ეწყობა, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა მიერ საკუთარი ქვეყნის უკეთ გაცნობას და ამ ალპინიადის მიზანიც პირველ რიგში ეს არის.

# ნაძვის ხე, რომელსაც მოჭრა არ სჭირდება



*პირველი გვერდიდან*

ხოლო აღმოსავლეთ საქართველოდან შერჩეული ნაშრომები კი 19 დეკემბერს თბილისში გამოიფინა.

მესამე ეტაპი 25 დეკემბერს თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში გაიმართება. საუკეთესო ნამუშევრების ავტორებს პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცემათ. თსუ ეკოკლუბი დაახლოებით სამი წლის წინ შეიქმნა და მის ფარგლებში სისტემატურად იმართება სხვადასხვა სახის აქტივობები და ღონისძიებები.

*7 დეკემბერს თსუ ეკო კლუბმა ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მღვიმევში არსებულ კარსტულ მღვიმეში თსუ-ს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის კათედრის ასისტენტ-პროფესორმა გიორგი დვალაშვილმა გამართა საველე ლექცია „მღვიმეების პრობლემები და პერსპექტივები“ ადგილობრივი საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის. მღვიმეში არსებული ნარჩენებისგან, აგრეთვე ფერადი ქაღალდებისგან და იქვე სტუდენტის მიერ ძაფისგან მოქსოვილი სათამაშოებისგან აიწყო 2 მეტრი სიმაღლის ნარჩენებით შექმნილი „საახალწლო ხელოვნური ნაძვის ხე“.*

# ლაშა თაბუკაშვილის რომანის „ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ!“ პრეზენტაცია



9 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლაშა თაბუკაშვილის პირველი რომანის „ერთიც გაგვიცინე, გუინპლენ!“ პრეზენტაცია გაიმართა.

წიგნში მოთხრობილია იშხნელთა გვარის ორი წარმომადგენლის ისტორია. ერთი ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების შვილია, რომელიც რთული ცხოვრების შემდეგ წარმატებული ბიზნესმენი ხდება. მეორეა საქართველოში მცხოვრები, გამომცემელი ბექა იშხნელი. იგი ამერიკელი ქართველის შორეული ნათესავია. ისინი ნაწარმოების დასაწყისშივე ხვდებიან ერთმანეთს...

„ერთიც გაგვიცინე გუინპლენ!“ გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა.

# ხსოვნის საღამო – „ლეგენდა მეგობრობაზე – გოგლიკოს 19 წელი”

11 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის შვილიშვილისა და საფრანგეთში ყოფილი ელჩის გოჩა ჩოგოვაძის ვაჟიშვილის – გიორგი (გოგლიკო) ჩოგოვაძის დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო - „ლეგენდა მეგობრობაზე – გოგლიკოს 19 წელი” გაიმართა. საღამოზე ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი - „გოგლიკო”. გაიმართა თსუ-ს გაზეთის „თბილისის უნივერსიტეტის” რედაქტორის ნინო კაკულიას წიგნის - „კაცი, რომელიც თავს არ მოიკლავდა” პრეზენტაცია.



ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ თსუ რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები.

გიორგი (გოგლიკო) ჩოგოვაძე 1984 წლის 27 მაისს თბილისის ზღვაზე ტრაგიკულად დაიღუპა. გოგლიკო და მისი მეგობრები, 1984 წელს, ისტორიულ მოგზაურობაში მონაწილე ტიმ სევერინის ექსპედიციას შავი ზღვის მისადგომებთან, ფოთის სანაპიროსთან უნდა დახვედროდნენ, რის გამოც თბილისის ზღვაზე წვრთნებს გადიოდნენ. გოგლიკო და მისი მეგობრები ვარჯიშისას უბედურ შემთხვევას ემსხვერპლნენ.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge